

ნატალია ლიტოვჩენკო

ოლეს ჰონჩარის სახელობის

დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტი

დამოუკიდებელი კვლევა, როგორც მულტილინგვური კომპეტენციის განვითარების გზა იმ სტუდენტებისათვის, რომელთა ძირითადი

სპეციალობა არის ფილოლოგია

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (უნივერსიტეტებში) სტუდენტთა მიერ დამოუკიდებელი კვლევის წარმოების ორგანიზებასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები. სტატიაში განხილული კვლევა გვთავაზობს მასწავლებელთა განათლების საბაკალავრო (ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მულტილინგვური განათლების სპეციალისტი) პროგრამების სტუდენტთა მიერ დამოუკიდებელი კვლევის წარმოებასთან დაკავშირებულ მიგნებებს, უცხოური ფილოლოგიისა და ხელოვნების ფაკულტეტზე, ოლეს ჰონჩარის სახელობის დნეპროპეტროვსკის ეროვნულ უნივერსიტეტში. დამოუკიდებელი კვლევის წარმოების გადაწყვეტი როლი პედაგოგიკური ფაქტორებითაა განპირობებული. სტატიაში გაზიარებულია ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის პირველკურსელ სტუდენტთა მიერ დამოუკიდებელი კვლევის წარმოების გამოცდილება მულტილინგვური კომპეტენციის განვითარებისთვის. კვლევის შედეგები პრაქტიკული და რელევანტურია, შეიცავს თეორიულ ინფორმაციას და შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პრობლემის სამომავლო შესწავლისთვის.

საკვანძო სიტყვები: მულტილინგვური განათლება, დამოუკიდებელი მუშაობა, კომპეტენცია, სწავლების მეთოდი, მიმდინარე კვლევა

შესავალი

დღევანდელ დღეს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მიერ დამოუკიდებელი კვლევის ჩატარება

მნიშვნელოვანი პედაგოგიკური პრობლემაა. ამ პრობლემის გადაწყვეტა თანამედროვე სპეციალისტის მომზა-

დების სისტემის მოდერნიზაციის შესაძლებლობას მოგვცემს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპეციალისტის პროფესიული კომპეტენციის დონე იზომება მისი უნარით-მოიპოვოს ახალი ცოდნა დამოუკიდებლად და გამოიყენოს იგი პრაქტიკაში. სათანადოდ ორგანიზებული, დამოუკიდებელი კვლევა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტის ავტონომიის განვითარებაში.

ბევრ უკრაინელ და უცხოელ მკვლევარს (ი. კ. ბაბანსკი, ა. ნ. ლეონტიევი, ი. ი. ლერნერი, ნ. ფ. ტალიზინა) აქვს ნაშრომები სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი კვლევის წარმოების შესახებ.

ჩვენი სტატიის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების ხარისხი მნიშვნელოვანია მულტილინგვური განათლების პროცესში.

კვლევის ობიექტი სტუდენტთა მიერ დამოუკიდებელი კვლევის წარმოებაა.

კვლევის საგანია სტუდენტთა მიერ უმაღლეს სასწავლებლებში

დამოუკიდებელი სამუშაოს ორგანიზების მეთოდოლოგია მულტილინგვური განათლების კონტექსტში.

ამ სტატიის მიზანია თეორიულად განვიხილოთ, განვავითაროთ და გამოვიძიოთ ექსპერიმენტულად სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში.

სტატიის მიზანი განსაზღვრავს მის მთავარ ამოცანებს:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა მიერ დამოუკიდებელი სამუშაოს ჩატარების შესახებ სამეცნიერო კვლევის განხილვა;

- კონცეპტის „დამოუკიდებელი კვლევა“ მახასიათებლების განხილვა და მისი მნიშვნელობის განსაზღვრა საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებაში;

- სტუდენტების მიერ დამოუკიდებელი კვლევის წარმოების ფორმების, ტიპების, და მეთოდების განსაზღვრა;

- სავარჯიშოებისა და დავალებების სიტემის შექმნა, რომელიც ეფექტური იქნება დამოუკიდებელი კვლევის წარმოებისას;

- დამოუკიდებელი კვლევის პო-
ზიტიური და ნეგატიური ასპექტების
გამოვლენა კითხვარებისა და
ექსპერიმენტის საშუალებით.

კვლევის მთავარი მეთოდო-
ლოგიაა სტუდენტთა დამოუკიდებელი
კვლევისთვის მომზადება, უცხო ენის
სამეტყველო, ფსიქოლოგიური და
პედაგოგიური კომპეტენციების ფორ-
მირება.

ამოცანების მიღწევისთვის გამო-
ვიყენეთ შემდეგი მეთოდები: ფსი-
ქოლოგიის შესახებ ლიტერატურის
თეორიული ანალიზი, კვლევის
პრობლემების შესახებ რეგულაციები და
მეთოდოლოგია; მეთოდოლოგიის სის-
ტემის მოდელირება და დიზაინი
სტუდენტთა დამოუკიდებელი კვლევის
წარმოებისას ინგლისურ ენაზე. ამას
გარდა, ჩვენ გამოვიყენეთ ემპირიული
მეთოდები: დაკვირვება, კითხვების
დასმა, ტესტირება, უნივერსიტეტის
დოკუმენტაციის შესწავლა, პედაგო-
გიური ექსპერიმენტი; რაოდენობრივი
და თვისებრივი მეთოდები ექსპე-
რიმენტული მასალის ანალიზისას,
კონტენტ ანალიზი, ექსპერიმენტული

შედეგების სტატისტიკური ანალიზი და
მათი ინტერპრეტაციის მეთოდოლოგია.

თეორია

**სტუდენტთა მიერ დამოუკი-
დებელი კვლევის წარმოება, როგორც
სწავლების ფორმა უმაღლეს სასწავ-
ლებელში**

თანამედროვე საზოგადოებაში
მიმდინარე ცვლილებებმა განათლების
შესახებ არსებული პარადიგმის შეცვლა
გამოიწვია. ეს ფაქტი საჭიროებს უმაღ-
ლესი განათლების სიტემის მოდერ-
ნიზაციას, უკრაინული უმაღლესი სას-
წავლებლების ახალი მოდელების
შემუშავებას და ახალ ეროვნულ
სასწავლო სტანდარტს. ამგვარად,
შეიქმნა უმაღლესი სასწავლებლის სტუ-
დენტთა მომზადების თანამედროვე
მოდელი, რომელსაც სრულიად ახალი
მოთხოვნები აქვს მომავალი სპეცი-
ალისტებისადმი და პასუხობს თანა-
მედროვე პოსტ-ინდუსტრიული საზოგა-
დოების მოთხოვნებს.

დღევანდელ დღეს სასწავლო
პროცესის საფუძველი, მისი სპეცი-
ფიკური ოპტიმიზაცია და საგანმა-
ნათლებლო აქტივობები ცვლის სტუ-

დენტთა მომზადების და მათი მიერ მიღებული განათლების შინაარსს. ჩვენს განათლების სისტემაში ცვლილებისთვის მთავარი მახასიათებელი არის არა ცოდნა, არამედ მისი მოპოვების შესაძლებლობა; არა მახსოვრობა, არამედ ფიქრი, როგორც მთავარი მენტალური მექანიზმი, რომელიც სასწავლო პროცესში მონაწილეობს; არა პასიური შრომისმოყვარეობა, არამედ აქტიური პოზიცია; არა გაგება, არამედ კრიტიკული მონაწილეობა; არა ინდივიდუალური, არამედ ჯგუფური მონაწილეობა პრობლემების გადაწყვეტასა და სხვა აქტივობებში, კოლექტიური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება; არა სწავლა ჩვეულებრივი გაგებით, არამედ სწავლა პერსონალური, პროფესიული და სოციალური ზრდისათვის (ჩორნენკი, 2006, გვ. 8).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოდერნიზაციის პირობებში, თანამედროვე სპეციალისტის ჩამოყალიბება წარმოუდგენელია მიზანმიმართული დამოუკიდებელი კვლევის გარეშე. დღეს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესი მიმართული უნდა იყოს ისეთ პროფესიონალთა გადა-

მზადებისაკენ, რომელთაც ძალუბთ, ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენონ და მიიღონ ცოდნა საკუთარი ძალისხმევით. მაშასადამე, თუ ჩვენს მიზანს განათლების და სწავლების ხარისხის, მოსწავლეთა თვითგამორკვევის ზრდა წარმოადგენს, ჩვენ უნდა ვმართოთ სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის პროცესი. მხოლოდ თვითშემეცნება და მისი შესრულების მონიტორინგი აღვიძებს მოსწავლეებში დამოუკიდებელ აზროვნებას და შემოქმედებით მიდგომას საგანმანათლებლო თუ პროფესიული მიზნების გადაწყვეტისას.

ზემოთ მოყვანილი მიზეზებიდან გამომდინარე გვჯერა, რომ სტუდენტთა მიერ დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზება აუცილებელია არსებული საგანმანათლებლო პრობლემების გადაწყვეტისათვის. დამოუკიდებელი კვლევის წარმოების დონე განსაზღვრავს სტუდენტის შესაძლებლობას იყოს სასწავლო აქტივობებში ჩართული ან გააგრძელოს სწავლა სამომავლოდ და ისწავლოს მთელი ცხოვრების მანძილზე (ჩორნენკი, 2006, გვ. 8).

ბევრი კვლევა ეძღვნება სტუდენტების მიერ დამოუკიდებელად კვლევის წარმოებას (ვ. ბისკუფი, ი. კ. ბაბანსკი, ა. ნ. ლეონტიევი, ი. ი. ლერნერი, ა. მ. მათიუშკინი, ნ. ფ. ტალიზინა, პ. ი. პიდკასისტი, ტ. ი. შამოვა, გ. ი. შჩუკინი და სხვ.).

უმაღლეს სასწავლებლებში საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების შესახებ რეგულაციები ითვალისწინებს, რომ სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაო არ უნდა იყოს კონკრეტული დისციპლინის სწავლაზე დახარჯული მთელი დროის 1/3-ზე მეტი და 2/3-ზე ნაკლები. საათების ეს რაოდენობა შემეცნებითი აქტივობის განვითარებას უწყობს ხელს, აყალიბებს დამოუკიდებლობას, როგორც პერსონალურ თვისებას, თანამედროვე ტიპის პრობლემების შემოქმედებით გადაწყვეტას, გადაწყვეტილებების მიღების უნარს. ეს აუცილებელია ქვეყანაში მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური ცვლილებების, თანამედროვე მეცნიერების დინამიკის, ტექნოლოგიების ზრდის, საჯარო ცხოვრებასა და სამსახურში ინდივიდის როლის ზრდის ფონზე. დღევანდელ დღეს სტუდენტთა

მიერ დამოუკიდებელი კვლევის წარმოების უნარი მეთოდოლოგიური პრობლემიდან საჯარო პრობლემად გადაიქცა (ჩორნენკი, 2006, გვ. 10).

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის საათების მნიშვნელოვნად გაზრდა მოითხოვს ახალ მიდგომას და მის მენეჯმენტს, მისი ორგანიზების, უსაფრთხოების, კონტროლის და სასწავლო პროცესში ჩართული წევრების აქტივობებისა და როლების განაწილების ჩათვლით.

უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიერ დამოუკიდებელი კვლევის წარმოების ორგანიზების პრობლემა არის მთავარი საკითხი. მისი განვითარების გზების არჩევისთვის რიგი კონფერენციები და სემინარები იმართება ყველა უმაღლესი განათლების ინსტიტუციაში (კაზარაკოვი, 1990, გვ. 5).

სანამ პრობლემას შევისწავლიდეთ აუცილებელია განვსაზღვროთ ტერმინი „დამოუკიდებელი კვლევა“. ვ. ა. კაზაკოვი „დამოუკიდებელ კვლევას“ შემდეგნაირად განმარტავს: სტუდენტთა მიერ დამოუკიდებელი კვლევის წარმოება არის აქტიური შემეცნებითი, შემოქმედებითი აქტივო-

ბა, რომელიც დამახასიათებელია (ან, სულ მცირე - დამახასიათებელი უნდა იყოს) ნებისმიერი სახის სასწავლო სესიებისთვის. უფრო ვიწრო, მაგრამ ყველაზე ჩვეულებრივი გაგებით, დამოუკიდებელი კვლევა არის ისეთი ფორმის სასწავლო აქტივობა, რომელიც მასწავლებლის გარეშე მიმდინარეობს (განსხვავებით ლექციების, სემინარების და მასწავლებლის მონაწილეობით სხვა აქტივობებისაგან) (კაზაკოვი 1990, გვ. 5-6).

ვ. ს. იელაგინა აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტში წარმოებული დამოუკიდებელი სამუშაო მულტიფუნქციონალურია. დამოუკიდებლად მუშაობისას სტუდენტები სწავლობენ მიშენელოვან მასალას ღრმად და საუბვლიანად, ავითარებენ კვლევის უნარებს და პროფესიულ აქტივობებს, სამეცნიერო საგანმანათლებლო ლიტერატურაზე მუშაობის უნარს, სხვადასხვა კრიტიკულ სიტუაციებში პასუხისმგებლიან და კონსტრუქციული გადაწყვეტილების მიღების უნარს (იელაგინა 2010, გვ. 116).

სტუდენტთა მიერ დამოუკიდებელი კვლევის წარმოების

ორგანიზება ხდება იმ პედაგოგიკურ პრინციპებზე მითითებით, რომლებიც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო აქტივობების მიმართულებას ეხმიანება. პრინციპის, როგორც ძირითადი იდეის და რეკომენდაციების, რომლებიც მიმართულია მასწავლებლისა და სტუდენტის მიერ მიზნების მიღწევისაკენ გათვალისწინებით, გათვალისწინებით სისტემას, რომელიც სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის უნარების ფორმირებას ემსახურება. ვ. ს. იელაგინა პრინციპებს შემდეგნაირად ალაგებს:

1. მოსწავლის საკლასო და კლასგარეშე (დამოუკიდებელი) აქტივობების ერთიანობის პრინციპი.

საკლასო აქტივობები უნდა მოიცავდეს ყველა სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი სამუშაოს წარმოების კომპონენტის სავალდებულო მინიმუმს და ის უნდა მიმდინარეობდეს მასწავლებლის ხელმძღვანელობის ქვეშ, სათანადო დროს შესაბამისი რჩევის მიღების მიზნით. დამოუკიდებელი კვლევის წარმატებული იმპლემენტაციისათვის მასწავლებელი ქმნის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოსა

და ალგორითმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დავალებების წარმატებით შესულებას და მიზნად ისახვენ სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი კვლევის წარმოების უნარის გამომუშავებას.

2. *მსგავსებისა და განსხვავების პრინციპი*, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ სტუდენტის გონებრივი შესაძლებლობები, უნარები და ინტერესები. ამ პრინციპის სწავლებაში დანერგვა მოიცავს სხვადასხვა დონის დავალებების განვითარებას, საჭიროებას, რომელიც ნაკარნახევია სტუდენტთა განსხვავებული ინტელექტუალური შესაძლებლობებით. სხვადასხვა საფეხურიანი დავალება უნდა მოიცავდეს აუცილებელ ნაწილს, რომელიც პასუხობს უმაღლესი განათლების სტანდარტის მოთხოვნებს. სტუდენტებს, რომლებიც საგანს წარმატებით ეუფლებიან და სწრაფად ასრულებენ დავალებებს, უნდას შესთავაზონ მაღალი სირთულის ინდივიდუალური დავალებები. ასეთი სტუდენტები მოწვეულ უნდა იყვნენ კვლევით აქტივობაში მონაწილეობისთვის, სხვადასხვა პროექტებზე

მუშაობისთვის და შედარებით სუსტი სტუდენტების დასახმარებლად.

3. *პროფესიული მიმართულების პრინციპი* აადვილებს სტუდენტთა სასწავლო აქტივობების პროფესიონალურად გარდაქმნის პროცესს. პროფესიული სწავლების ორიენტაცია ხასიათდება მასწავლებლის პერსონალური თვისებებით. ის ფორმირდება და ვითარდება აკადემიურ სამუშაოს და თეორიული ცოდნის მიმართ ინტერესის საფუძველზე. მას აძლიერებს საკუთარი სასწავლო გამოცდილება, რომელიც მიღებულია სასწავლო პროცესში მომავალი მასწავლებლების მიერ.

სტუდენტებში პროფესიული ინტერესის გაზრდის ერთ-ერთ გზას საგანმანათლებლო პრობლემების მაღალი დონის პროფესიონალიზმით გადაწყვეტა, შემოქმედებითი დავალებების შესრულება, ანგარიშების მომზადება და ესეების წერა წარმოადგენს; ასევე სიტუაციური და პრობლემის გადაჭრის გზების მაძიებელი დავალებების შესრულება და სტუდენტების მუშაობა სოციალურ და საგანმანათლებლო პრაქტიკული ხასიათის პროექტებზე.

4. *სტუდენტთა შეგნებულობის და შემოქმედებითი აქტივობის პრინციპი.* სტუდენტთა მიერ დამოუკიდებელი კვლევის წარმოებისას ამ პრინციპის დანერგვა მოითხოვს სტუდენტთა შეგნებულ სწავლას და მენტალური აქტივობების ტექნიკას, თვით-სწავლების მეთოდებს აქტიური კოგნიტიური აქტივობის პროცესში.

5. *დამოუკიდებელი დავალებების სირთულე და შესრულების დროის განსაზღვრის პრინციპი.* ეს პრინციპი მოითხოვს დავალებების სირთულის ხარისხთან, შინაარსთან, დამოუკიდებლად მოძიებული მასალის კომპეტენციასთან, სტუდენტთა ინტელექტუალური განვითარების ხარისხთან, წინა კვლევის შედეგებთან შესაბამისობას (იელაგინა, 2010, გვ. 117).

დამოუკიდებელი კვლევის ორგანიზება მოითხოვს სასწავლო მეთოდოლოგიური დოკუმენტების ხელმისაწვდომობას, სხვა მასწავლებლების კონსულტაციას, მასწავლებელთა მიერ სწავლის შედეგების მონიტორინგს, უნარების შეძენას სტუდენტთა მიერ დამოუკიდებელი კვლევის წარმოების პროცესში.

დიდაქტიკური მიზნებიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვასხვავოთ ოთხი ტიპის დამოუკიდებელი კვლევა.

1-ლი ტიპი. სტუდენტთა უნარების გამომუშავება, რომელიც განსაზღვრავს გარე ფაქტორებს, სტუდენტის მიმართ მოთხოვნებს და აქტივობებს, რომლებიც პრობლემაშია დასმული. სტუდენტის შემეცნების პროცესი გულისხმობს ობიექტების ამოცნობას ცოდნის დარგში საკუთარ თავსა და ქმედების შესახებ ინფორმაციის აღქმის გამეორების გზით.

საშინაო დავალება, სამუშაო რვეულში მუშაობა, სალექციო კონსპექტები ხშირად გამოიყენება ასეთი სახის დამოუკიდებელი სამუშაოსთვის. პირველი სახის დამოუკიდებელი სამუშაოს ძირითადი მახასიათებელი არის ის რომ ყველა მოთხოვნა და ამოცანა უნდა შესრულდეს პირდაპირ დავალებაში ან შესაბამისი სწავლების პროცესში.

მე-2 ტიპი. ცოდნის ფორმირება, რომელიც საშუალებას იძლევა გადაჭრა ტიპური საკითხები. სტუდენტთა შემეცნებითი აქტივობა არის უბრალო და ნაწილობრივი რეკონსტრუქცია-

უფრო ადრე მიღებული საგანმანათლებლო ინფორმაციის სტრუქტურისა და შინაარსის ცვლილებისა, რომელიც მოიცავს ობიექტის აღწერის ანალიზის საჭიროებას, დავალების შესრულების განსხვავებულ გზებს, ყველაზე სწორი ან შესაბამისი დეფინიციის არჩევას და გადაწყვეტილების მისაღებად ლოგიკურ მეთოდების გამოყენებას.

ამ ტიპის დამოუკიდებელი სამუშაოს მაგალითები მოიცავს გარკვეული დონის ლაბორატორიულ სამუშაოებს და ვორკშოპებს, კურსისთვის დამახასიათებელ პროექტებს ისევე როგორც სპეციალურად მომზადებულ საშინაო დავალებას ალგორითმის ბუნების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ამ ჯგუფის მუშაობის მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის ის, რომ მოხდეს პრობლემის მოგვარების პრინციპის წარმოდგენა და მოსწავლეთა საჭიროებების დასახელება მისი მოთხოვნისამებრ განსახორციელებლად.

მე-3 ტიპი. სტუდენტების ცოდნის ფორმირება, რომელიც არატიპიური დავალებების გადაწყვეტის საფუძველია. ასეთი პრობლემების გადაწყვეტისას სტუდენტები

აღმოაჩენენ ახალი გამოცდილებების გარე ფაქტორებს უკვე ნასწავლი ფორმალიზებული პრაქტიკების საფუძველზე, ცოდნის, უნარებისა და ჩვევების გადაცემის საშუალებით. ასეთი ტიპის დავალებები მოითხოვს ფორმულების ძიებას წარსული გამოცდილებიდან და გვთავაზობს მის ახლებურ გააზრებას სრულიად სხვა კუთხიდან. მესამე ტიპის დამოუკიდებელ კვლევას შეიძლება დასჭირდეს უცნობი სასწავლო სიტუაციების ანალიზი და ახალი ინფორმაციის სუბიექტურად დამუშავება. საკურსო ნაშრომი და პროექტები დამახასიათებელია ასეთი ტიპის დამოუკიდებელი კვლევისთვის.

მე-4 ტიპი. შემოქმედებითი მუშაობისთვის პირობების შექმნა. ასეთი ტიპის სამუშაოთი დატვირთული სტუდენტების გონებრივი აქტივობა მიმართულია ობიექტის შესახებ ახალი აქამდე უცნობი პრინციპების, იდეების და ინფორმაციის აღმოჩენისკენ. ასეთი ტიპის დამოუკიდებელი სამუშაო სამეცნიერო კვლევის ტიპის დავალებების დახმარებით ხორცი-

ელდება, საკურსო ნაშრომისა და პროექტების ჩათვლით.

სტუდენტების მრავალ ენაზე საუბრის კომპეტენციის განვითარება

განათლების მულტილინგვალი სპეციალისტის მომზადება მოიცავს მეტყველების კომპეტენციასაც. დღეს ის წარმოადგენს პიროვნების მთავარ მახასიათებელს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მის ინტეგრაციასა და თვითგანვითარებაზე.

ყველასათვის ცნობილია, რომ უცხო ენების შესწავლა თანამედროვე ცხოვრების აუცილებელი ნაწილია. დღევანდელ დღეს არსებობს დიდი მოთხოვნა ინგლისური ენის მცოდნე სპეციალისტებზე.

ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი პრობლემა სწავლების მეთოდოლოგიაში არის სტუდენტთა ენობრივი და მეტყველების კომპეტენციის განვითარება. უცხო ენის სწავლის მთავარი მიზანი მისი კომუნიკაციისთვის გამოყენებაა.

ლინგვისტური კომპეტენციის პრობლემა რელევანტურია და სამეცნიერო საზოგადოებაში განხილვის

საგანს წარმოადგენს. მისი ფსიქოლოგიური შინაარსის შესახებ თეორიული დისკუსიები და გამიჯვნა ტერმინებისა, „ლინგვისტური კომპეტენცია“, „ლინგვისტური უნარები“, „მეტყველების კომპეტენცია“, „მეტყველების უნარები“, ამ პრობლემის რელევანტურობას აჩვენებს და ხაზს უსვამს ენის კომპლექსური ცოდნის და სტრუქტურის შესახებ პრინციპების მნიშვნელობას სუბიექტის მეტყველების სტრუქტურის ორგანიზებაზე. ბევრ კვლევაში ეს ტერმინები არ არის გამიჯნული და უფრო მეტიც, ხშირად თანაბარმნიშვნელოვნად ან ერთი მნიშვნელობით გამოიყენება. როგორც ლ. ო. კალმიკოვა აღნიშნავს, ბევრი ავტორის კვლევაში ენობრივი კომპეტენციები არ წარმოადგენდა განსაკუთრებული ანალიზის ობიექტს. ფაქტობრივად, მათ შეაერთეს ენისა და მეტყველების სწავლის საკითხები (კამიკოვა 2008, გვ. 183). ეს ფაქტორები გვიჩვენებს მეტყველებისა და ენობრივი კომპეტენციების ფსიქოლოგიური შინაარსის იდენტიფიცირების საჭიროებას.

ჩვენი აზრით, ენის/მეტყველების კომპეტენციის შესწავლის ძირითადი

პრობლემა არის ის, რომ ამ კონცეპტების შესწავლა ხდება ფსიქოლოგიაში, ლინგვისტიკაში, ფსიქოლინგვისტიკაში, ენის ფილოსოფიაში, ლინგვისტურ პედაგოგიაში.

სამეცნიერო პარადიგმასა და ნაწილობრივი კვლევების სპეციფიკურ პრობლემებზე დაყრდნობით, კონცეპტის შინაარსი ძალიან განსხვავებულია. ამგვარად, ენის ფილოსოფია ლინგვისტური კომპეტენციის ცნებას განმარტავს, როგორც „ადამიანის სამყაროს აღქმამდე მდგომარეობას“ (ჯ. ჰებერმასი 1995), ფსიქოლოგიაში უკავშირდება გონებრივ კომპეტენციას, როგორც წინადადებების დაწყობის შესაძლებლობას. ი. დ. აპრესიანი (1995) განსაზღვრავს, როგორც უნარს, შექმნას და აღიქვას სამეტყველო წინადადებები ენის დაუფლებისას. მ. ო. ორაპი უნარს უკავშირებს ენობრივ კომპეტენციას (ორაპი, 2009, გვ. 83).

ჩვენი გაგებით, „ლინგვისტური კომპეტენცია“ ენის ორთოგრაფიული, ფონეტიკური, ლექსიკური და გრამატიკული ასპექტების გარკვეულ დონეს და წინადადებების შექმნისთვის ენობრივი ხელსაწყო როლს ასრულებს.

ენობრივი კომპეტენცია ყალიბდება სამეტყველო აქტივობების სხვადასხვა სახეობაში, როგორც წერითი, ისე ზეპირი ფორმით.

ენობრივი კომპეტენცია მოიცავს არა მხოლოდ სწავლების პროცესს, არამედ სწავლისთვის შემეცნებით პირობებს. ენობრივი უნარების სრულყოფის წინა მდგომარეობა გარკვეული საერთო ცოდნის არსებობაა. შიდა წარმომადგენლობითი სტრუქტურის კონცეფცია ცენტრალურია თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგისთვის (ლ. მ ვეკერი, ვ. ნეისერი, რ. სოლსო, ი. ჰოფმანი). აღნიშნული კონცეპტი გულისხმობს კოგნიტური პროცესების, როგორც ენობრივი უნარების განვითარების წინარე მდგომარეობის საჭიროებას. მხოლოდ ენის ცოდნა არ განსაზღვრავს ენობრივი კომპეტენციის დონეს. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ენობრივი უნარების „შესაბამისობისთვის“ აუცილებელი მდგომარეობა არის მათი შემეცნებითი მუშაობის დონე, რომელიც კოგნიტურ კომპეტენციაზეა დამოკიდებული (რ. პ. მილბურდი, ტ. ო. პიროჟენკო), რაც არის ლოგიკური წიგნიერება (ვ. ლ. კრუტი).

ბავშვი თავისი მეტყველების გან-
ვითარებისას გადის მდგომარეობას,
რომელიც მეტია, ვიდრე ფრაზებისა თუ
წესების ერთობა. ის გადის ცოდნის
მდგომარეობას, რომელიც მას აძლევს
საშუალებას, სპეციფიკური წინადადე-
ბების მიღმა იაზროვნოს. ასეთი ცოდნის
შინაარსი გულისხმობს ბავშვის უნარს
გაანალიზოს წინადადებები და
ფრაზები, მათი სინთეზი, მათი გაყოფა
და სხვა სიტყვებით აწყობილი ყველა
ახალი ფრაზის და წინადადების
აუცილებელი მახასიათებლების სინ-
თეზი (ორაპი, 2009, გვ . 87).

უცხო ენის გაკვეთილებზე ჩვენ
უნდა ვეცადოთ, ჩამოვუყალიბოთ
სტუდენტს ყველა ტიპის სამეტყველო,
ლექსიკური და გრამატიკული, სმენითი,
სასაუბრო, კითხვის და წერის უნარები.
ამის მისაღწევად, მასწავლებელმა
სტუდენტებთან ერთად უნდა
მოუსმინოს ავთენტურ ტექსტებს
განსხვავებულ ფორმატებში (მოცემული
სპეციფიკური ცოდნის მთლიან
ცოდნასთან მიმართებით). ამსთანავე
უნდა წაიკითხოთ პროფესიულად
ორიენტირებული ტექსტები, გადათარ-
გმონ განსხვავებული სტილის

ტექსტები, აბსტრაქტები, განცხადებები,
კრიტიკა, რეცენზია, პროფესიულ
სიტუაციებზე დაფუძნებული დია-
ლოგები, შეავსონ ფორმები, დაწერონ
ესეები; მოემზადონ ინტერვიუსთვის,
სადაც საკუთარ თავსა და გამოც-
დილებაზე ისაუბრებენ, შეაჯამონ და
მოყვენ ტექსტი, შექმნან ლექსიკური
ერთეულების მონაცემთა ბაზა, ის-
წავლონ ახალი სიტყვები, გადათარ-
გმონ გრამატიკულ სავარჯიშოებთან
დაკავშირებული ტექსტები და ა.შ.

გარდა ამისა, სტუდენტებს უნდა
შევთავაზოთ სხვადასხვა სავარჯიშოები,
რომლებიც საშუალებას გვაძლევს
გამოვხატოთ ჩვენი შეხედულება
თანმიმდევრულად და ადეკვატურად,
გამოვიყენოთ შესაბამისი საკომუნი-
კაციო გამონათქვამი მეტყველებასა და
წერაში, გამოვიყენოთ შესაბამისი
სიტყვები შესაბამის საკომუნიკაციო
სიტუაციებში. ჩვენ უნდა შევეცადოთ
აზრი მივცეთ ენას, განვავითაროთ
ანალიტიკური და კრეატიული უნარები
როგორც შინაარსის, ისე ლინგვისტური
რესურსების დონეზე, რომლებიც, თავის
მხრივ, ერთმანეთთან მჭიდრო
კავშირშია. სტუდენტს აქვს სამეტყველო

კომპეტენცია, მაშინ, როდესაც მან იცის ნასწავლი სიტემის შესახებ და მისი პრაქტიკაში გამოყენება შეუძლია.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ენის სწავლების მთავარ მიზანს სტუდენტთა საკომუნიკაციო კომპეტენციის ჩამოყალიბება წარმოადგენს, რაც არის ბაზა კომუნიკაციური უნარებისა, რომელიც ენის უნარების საფუძველზეა შექმნილი. კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება დამოკიდებულია სოციოკულტურულ და სოციოლინგვისტურ ცოდნასა და უნარებზე, რომლებიც საშუალებას აძლევს ინდივიდს, შევიდეს ახალ საზოგადოებაში და ხელი შეუწყოს სოციალიზაციას ახალ საზოგადოებაში. ისტორიულად, ფაქტიურად ყველა ჩვენს ქვეყანაში ორენოვანია: იციან როგორც რუსული ისე უკრაინული. ერთადერთი განსხვავება არის ამ ენების ფლობის დონეში. სკოლებში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, ისწავლონ ორი ან მეტი უცხო ენა. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ჩათვალოთ, რომ სწავლების ენა უკრაინაში არის პლურილინგვალიზმის ან მულტილინგვალიზმის ტიპური ფენომენი. როგორც ენათა

ფლობის ზოგადი კომპეტენციების ევროპულ ჩარჩოშია განსაზღვრული, მულტილინგვალიზმი არის რამდენიმე ენის ცოდნა და რამდენიმე განსხვავებული ენის თანაარსებობა ერთ საზოგადოებაში.

დამოუკიდებელ კვლევას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს უცხო ენების შესწავლის კუთხით. დამოუკიდებელ კვლევას აწარმოებს სტუდენტი მასწავლებლის პირდაპირი ჩარევის გარეშე, მაგრამ დავალებები სწორედ მასწავლებლის მიერაა შერჩეული. მოსწავლეები ასრულებენ დავალებას მათთვის მიცემულ განსაზღვრული დროის მონაკვეთში და ისინი შეგნებულად მუშაობენ მიზნების მიღწევისთვის თავიანთი ძალისხმევით, რაც ზოგიერთი ფორმის გონებრივ ან ფიზიკურ შედეგში გამოიხატება (ხშირად ორივე მათგანში). უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი კვლევა წარმოადგენს სტუდენტთა აქტივობების შედეგად ღრმა და ძლიერი ცოდნის მოპოვების ეფექტურ გზას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლექტორის მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი დავალებაა

დამოუკიდებელი კვლევის სწორი ორგანიზება, კურსის წარმატებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, რაც სტუდენტების არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ პედაგოგიურ გადამზადებასაც მოიცავს და მათი შემოქმედებითი ძალის გაძლიერებისათვის პედაგოგიური უნარების შექმნა.

მეთოდოლოგია და მიგნებები

დამოუკიდებელი კვლევის პრინციპების შესახებ კვლევა ჩატარდა ინგლისური ენის ფილოლოგიის დეპარტამენტში, უკრაინული და უცხოური ფილოლოგიისა და ხელოვნების ფაკულტეტზე, დნეპროპეტროვსკის ოლეს ჰონჩარის სახელობის ეროვნულ უნივერსიტეტში, იმ პირველკურსელ სტუდენტთა შორის, რომელთა ძირითად სპეციალობას ინგლისური ფილოლოგია წარმოადგენს. შეირჩა 22 სტუდენტი. მიმდინარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა ეფექტური სტრატეგიის მიღება დამოუკიდებელი სამუშაოს გაზრდისთვის ინგლისურის მასწავლებელთა და მულტილინგვური განათლების სპეციალისტების მომზადებისას.

კითხვარის ფორმის სახით ჩავატარეთ ექსპერიმენტი. ჩვენი კვლევის მიზანი კითხვარიდან მიღებული პასუხების საშუალებით ფილოლოგიის მიმართულების დამოუკიდებელი კვლევების დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრა იყო. გარდა ამისა, ჩვენი ექსპერიმენტის მიზანი არის სასწავლო პროცესში გამოყენებული ეფექტური ავტენტური წიგნების იდენტიფიცირება, მათი როლი სტუდენტთა მომავალი მუშაობისთვის მოტივირებასა და ისეთი დამოკიდებულების შეცვლაში, რომელიც უინტერესო, მაგრამ სავალდებულო რუტინული აქტივობების მიმართ არსებობს. გარდა ამისა, ჩვენი მიზნებია განვავითაროთ წერის და კითხვის უნარები, აქტივობა და გავზარდოთ მათი ლექსიკა მათთვის კროს-კულტურული ინფორმაციის მიწოდების, კლასგარეშე დავალებებზე მუშაობისა და შემოქმედებითი ინტერესის აღძვრის გზით.

ამ მიზნის მისაღწევად ჩავატარეთ გამოკითხვა ენისა და ლიტერატურის სტუდენტთა შორის.

კითხვარი შემდეგი კითხვებისგან შედგებოდა:

1. რა წიგნები გამოიყენება უცხო ენის სწავლებისთვის?
2. რა ტიპის დავალებებია შემოთავაზებული დამოუკიდებელი სწავლისთვის?
3. გრამატიკული მასალის შესწავლისათვის აკეთებთ თუ არა სავარჯიშოებს?
4. მოგწონთ თუ არა ლექსიკური მასალის სწავლაზე ორიენტირებული სავარჯიშოების შესრულება?
5. გაქვთ თუ არა რაიმე ტიპის სიმძნელები ავტენტური სასწავლო რესურსების მოძიებასთან დაკავშირებით (წიგნები, ტექსტები, აუდიო ჩანაწერები)?
6. რა სირთულეებს აწყდებით დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების დროს?
7. თქვენი აზრით რა არის დამოუკიდებელი მუშაობის უარყოფითი მხარე?
8. სად ხედავთ დამოუკიდებელი სამუშაოს ორგანიზების სარგებელს?
9. როგორ ამოწმებენ მასწავლებლები დამოუკიდებელ სამუშაოს?
10. ხართ თუ არა კმაყოფილი დამოუკიდებელი სამუშაოს შეფასებით?

დავალებების ძირითადი სახეები იყო: ტესტები, განსხვავებული გრამატიკული სავარჯიშოები, ესეების და ანგარიშების დაწერა, სტატიის თარგმნა, კომპოზიციებისა და შეფასებების დაწერა, წაკითხული ტექსტის ანალიზი, პროექტების შექმნა, კითხვების და პასუხების მომზადება (ზეპირი და წერილობითი), უცხო სიტყვების სწავლა, წესების დაზეპირება.

კითხვაზე „მოგწონთ თუ არა გრამატიკული მასალის შესწავლისთვის განკუთვნილი სავარჯიშოების კეთება“ 9 სტუდენტმა უპასუხა - „დიახ“, 8 სტუდენტმა - „არა“ და 5-მა - „არ ვიცი“.

შემდეგი კითხვა იყო „მოგწონთ თუ არა ლექსიკური მასალის სწავლისთვის განკუთვნილი სავარჯიშოების შესრულება“. პასუხები შემდეგნაირად განაწილდა: „არა“ - 12, „დიახ“ - 7, „არ ვიცი“ - 3.

სტუდენტები განმარტავენ, რომ ზოგჯერ ლექსიკის შემსწავლელი სავარჯიშოები დიდი მასალის დაზეპირებას მოითხოვს, რის გაკეთებასაც განსაზღვრულ დროში ხშირად ვერ ახერხებენ.

კითხვას - გაქვთ თუ არა რაიმე ტიპის სიძნელეები ავთენტურ სასწავლო რესურსების მოძიებასთან დაკავშირებით (წიგნები, ტექსტები, აუდიო ჩანაწერები)? - უპასუხეს „არა“ - თერთმეტმა სტუდენტმა, „დიახ“ - ხუთმა სტუდენტმა და „ხანდახან“ - ექვსმა.

მეექვსე კითხვას: „რა სირთულეებს აწყდებით დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების დროს?“ ასეთი პასუხი გასცეს სტუდენტებმა: სასწავლო პროცესის მსვლელობისას დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დროის სიმცირე; დავალებების და სავარჯიშოების ძალიან დიდი რაოდენობა; ინფორმაციის მოძიების სირთულე; რთული საგნები; ადეკვატური წიგნებისა და ლიტერატურის სიმცირე. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი კომენტარები: „ვერ ვიგებ დამოუკიდებელი სამუშაოს ამოცანას“, „ვერ ვიგებ დამოუკიდებელი სამუშაოს მოთხოვნებს“ და ასეთი ტიპის სხვა ბევრი კომენტარი. მაშასადამე, პირველკურსელ სტუდენტთა დამოუკიდებელი კვლევისთვის სავარჯიშოების შექმნის და მომზადებისას

ხაზგასმული უნდა იყოს დავალების მოთხოვნები და ამოცანები.

მეშვიდე კითხვას დამოუკიდებელი სამუშაოს შეზღუდვის შესახებ გამოკითხულთა ნახევარმა უარყოფითად უპასუხა, მაგრამ მათ აღნიშნეს ზოგიერთი პრობლემა დამოუკიდებელი კვლევის ორგანიზებაში. დიდი რაოდენობის დავალებები, ახსნა-განმარტების არარსებობა, თუ როგორ უნდა შესრულდეს დავალება, მცირე დრო დამოუკიდებელი სამუშაოსთვის... როგორც ხედავთ, პრობლემების უმეტესობა თავად სტუდენტთა თვით-ორგანიზებაშია, რომელთაც არ შეუძლიათ დროის გადანაწილება კვლევისა და დამოუკიდებელი სამუშაოსთვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პრობლემები დაკავშირებულია პირველკურსელ სტუდენტთა ადაპტაციასთან.

სტუდენტებმა განსხვავებულად უპასუხეს შემდეგ შეკითხვას: „სად ხედავთ დამოუკიდებელი სამუშაოს ორგანიზების სარგებელს?“. სტუდენტები აღნიშნავენ ზოგიერთ პოზიტიურ ასპექტს. სტუდენტების პასუხების მიხედვით, მისი მთავარი დადებითი თვისება დამატებითი ქულების მიღებაა.

ასევე, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ დამოუკიდებელი სამუშაოს ჩატარებისას ისინი თვითორგანიზებას ეჩვენებენ, ავითარებდნენ შემოქმედებით აზროვნებას და მახსოვრობას. დამოუკიდებელი სამუშაო იძლევა შანსს, შეიძინო უნარები ან გააღრმავო არსებული ცოდნა.

მასწავლებლები დამოუკიდებელ სამუშაოს აკონტროლებენ წერილობითი და ზეპირი ფორმით, ასევე, ტესტების დახმარებით.

ბოლო დროს ტესტები მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ძირითადი მეთოდი გახდა. ერთი მხრივ, ტესტების პედაგოგიკური ეფექტურობა დროის მცირე მონაკვეთში სწრაფი შემოწმებით შედეგების მიღებას ეფუძნება. ტესტს შეუძლია მოიცვას კურიკულუმის ყველა სექცია სტუდენტთა სრული ტესტირებით. მეორე მხრივ, იკარგება ენის კულტურა (წერილობითი თუ ზეპირი), რისი შეფასებაც ტესტის საშუალებით შეუძლებელია. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც საქმე უცხო ენების სწავლებას ეხება. სტუდენტთა უმეტესობას არ შეუძლია ლოგიკურად ფიქრი, არ შეუძლიათ

აზრის გამოხატვა და ა.შ. ასევე, არსებობს ვალიდურობის ნაკლებობა. სტუდენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ ტესტირების შედეგებისგან ხშირად გაცდებილი რჩებიან. სულ ცოტა, როდესაც წარმოდგენილია რამდენიმე პასუხი, სტუდენტი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რომ მიხვდეს მათ მნიშვნელობებს. ხშირად ხდება ისე, რომ მხოლოდ ერთ სიტყვას აქვს ისეთი დიდი დატვირთვა, რომ წინადადების აზრს მთლიანად ცვლის და სტუდენტები ამას ვერც კი ამჩნევენ.

უკანასკნელ შეკითხვაზე: „ხართ თუ არა კმაყოფილი დამოუკიდებელი სამუშაოს შეფასებით?“ - რესპონდენტთა უმეტესობამ დადებითი პასუხი გასცა. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ კმაყოფილნი არიან შეფასებით და ქულებით - მათი შრომა ადეკვატურად შეფასდა.

აქედან გამომდინარე, ენისა და ლიტერატურის სტუდენტთა კითხვარის შედეგები აჩვენებს დამოუკიდებელი სამუშაოს ორგანიზების შემდეგ დადებით მხარეებს:

- დამატებითი ქულები;

- ახალი ცოდნის შექმნა, ჩვევებისა და უნარების გამომუშავება;

- მიღებული ინფორმაციის ფიქსაცია;

- საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების გახსნა;

- პროფესიული ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების შექმნა.

სტუდენტები შემდეგ პრობლემებს ხედავენ დამოუკიდებელი კვლევის შესახებ უნივერსიტეტში:

- დიდი რაოდენობის დამოუკიდებელი კვლევა და შედარებით მცირე დრო მის შესასრულებლად;

- დავალებები დამოუკიდებელი კვლევისთვის მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული;

- დავალებები დამოუკიდებელი კვლევისთვის ძალიან რთულია;

- ხელმისაწვდომი ლიტერატურის ნაკლებობა.

კვლევის შედეგები უცხო ენის მასწავლებელთა ყურადღების ღირსია. მასწავლებლების მიდგომა უნდა იყოს კომპლექსური, რადგან პრობლემები დაკავშირებულია არა მხოლოდ ენის მასწავლებელთა დამოუკიდებელი კვლევის ორგანიზებასთან, არამედ

მოსწავლეთა უნართან იმუშავონ სამეცნიერო ლიტერატურაზე, გააანაწილონ დრო სწავლაზე და ა.შ.

კითხვარის შემდეგ ჩვენ ჩავატარეთ დამოუკიდებელი სამუშაო, რომელიც განსხვავებული ტიპის სავარჯიშოებს მოიცავდა, იმისთვის, რომ შეგვემოწმებინა სტუდენტთა ცოდნის დონე საკითხზე „საკუთარი თავის გაცნობა“. დავალების უმეტესობა წერილობითი სახით უნდა შესრულებულიყო. სტუდენტებს მიეცათ მხოლოდ ერთი კვირა დავალების შესასრულებლად. დამოუკიდებელი კვლევა მოიცავდა გრამატიკულ სავარჯიშოებს, ლექსიკას და სახლში საკითხავ მასალას.

შესრულებული სამუშაოს შემოწმების შემდეგ შეგვიძლია აღვნიშნოთ შემდეგი შედეგები: „ფრიადი“ - 8 სტუდენტი (34.4%), „კარგი“ - 12 სტუდენტი (54.5%), „დამაკმაყოფილებელი“ - 2 სტუდენტი (9.1%), „არადამაკმაყოფილებელი“ (0%).

დასკვნები და დისკუსია

სტუდენტების დამოუკიდებელი სამუშაოს ორგანიზება განსაზღვრავს

ცოდნის მიღების შედეგებს, სტუდენტების ჩვევებს და უნარებს და სტუდენტების დამოუკიდებლობის ხარისხს.

მასწავლებელთა ძალისხმევა ეფექტური შემოქმედებითი აქტივობის ორგანიზებისთვის ამაღლებს მათ ეფექტურად განხორციელებას. ინგლისური ენის, როგორც ძირითადი სპეციალობის სტუდენტების დამოუკიდებელი სამუშაოს ორგანიზებისას უნდა შევცვალოთ სტუდენტის როლი სასწავლო პროცესში, მისი აქტიურობის გაზრდით. უნდა გადავერთოთ განათლების მენეჯმენტის დემოკრატიულ სტილზე, სადაც მასწავლებელი არის ხელშემწყობი მოსწავლის საგნის მიმართ ინტერესის ჩამოყალიბებაში.

მრავალრიცხოვანი შრომები არის მიძღვნილი მულტილინგვალიზმისა და მულტილინგვური განათლების პრობლემებისადმი, სადაც განსაზღვრულია მულტილინგვური განათლების მნიშვნელობა დღევანდელ სამყაროში.

მულტილინგვური განათლების საკითხის შესახებ თეორიული ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ მულტილინგვური განათლება,

როგორც სპეციფიკური პროფესიული ცოდნის მიღება და როგორც ღრმა ენობრივი ცოდნის კომპონენტი, განსაზღვრულია ისეთი გლობალური ტენდენციით, როგორცაა ევროპული ინტეგრაცია ეკონომიკის, კულტურისა და პოლიტიკის განვითარებაში. განათლების ამ დარგში აღნიშნული ტენდენცია ქმნის საგნის შესახებ ცოდნის ორიენტაციის ინტეგრაციის სურვილს საგნის შესახებ ცოდნის ჰოლისტიკურ მსოფლმხედველობასთან. მულტილინგვური განათლება სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ განსხვავებული საგნების ინფორმაციაზე, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ინფორმაციის მიღებაზე, სიცოცხლის ბოლომდე სწავლებაზე, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას, იყვნენ კონკურენტუნარიანები მსოფლიოს და ევროპის ბაზარზე.

მულტილინგვური განათლების სპეციალისტის მომზადება დამოუკიდებელი კვლევის წარმოებისთვის მნიშვნელოვანია და ამიტომ ჩვენ გამოვიკვლიეთ ოლეს ჰონჩარის დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნი-

ვერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის პირველკურსელთა მიერ წარმოებული დამოუკიდებელი კვლევის ეფექტურობა.

კვლევის მიზანი იყო დამოუკიდებელი სამუშაოს ორგანიზების ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა. კითხვარის საშუალებით გამოვარკვეეთ, რომ დამოუკიდებელი კვლევის ყველა ასპექტი არ არის დადებითი. ზოგადად, სტუდენტები წარმატებით ართმევენ თავს დამოუკიდებელ სამუშაოს, მაგრამ ხშირად არის სირთულეები, რომლებიც როგორც სტუდენტების, ისე მასწავლებლების მხრიდან არასწორი ორგანიზების შედეგად არის გამოწვეული. ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები დავალების შესრულებისთვის განსაზღვრული არასაკმარისი დრო, განსაკუთრებით დიდი რაოდენობის დავალება და დავალების შინაარსის ბუნდოვანი ფორმულირებაა.

უცხო ენების მომავალმა მასწავლებელმა უნდა აითვისოს მულტილინგვური საკომუნიკაციო უნარები, რაც მოიცავს მის უნარს, გამოიყენოს ალტერნატიულად უცხო და

მშობლიური ენა ყოველდღიურ და კარიერულ ცხოვრებაში. ეს გულისხმობს იმას, რომ ენის ცოდნა გამოიხატება საკომუნიკაციო კომპეტენციაში, რომელშიც ყველა გამომუშავებული უნარი და გამოცდილებაა გაერთიანებული. ასე რომ, მულტილინგვური კომპეტენციის ფორმირება შესაძლებელია მშობლიურ ან სხვა რომელიმე უცხო ენასთან ერთად.

მულტილინგვური კომპეტენცია საშუალებას გვაძლევს, ის განვიხილოთ არა მხოლოდ სწავლების ალტერნატიულ გზად, არამედ ინდივიდის მიერ სპეციალიზებული ცოდნაში დახელოვნების, ახალი სამყაროს, ღირებულებების, კულტურის, სოციალური ურთიერთობების, კომუნიკაციური უნარების აღმოჩენის გზად. ავთენტური სასწავლო მასალების გამოყენება პოზიტიური ზეგავლენის მქონე იქნება უცხო ენის სრულყოფისათვის, რადგან მიაწვდის სტუდენტს ღირებულ ინფორმაციას შესასწავლი ქვეყნის ტრადიციებსა და ისტორიაზე. დაგვეხმარება გავიაზროთ ადამიანთა ცხოვრების თანამედროვე სტილი და, აქედან გამომდინარე,

განვავითაროთ არა მხოლოდ მულტილინგვური, არამედ ინტერკულტურული კომპეტენციაც.

სტუდენტების დამოუკიდებლობის გააქტიურება დაეხმარება მათ, განავითარონ შემოქმედებითი, დაკვირვებითი და ლოგიკური აზროვნების უნარები; გამოიმუშავონ გონებრივი და ფიზიკური მუშაობის ჩვევა, ისწავლონ დამოუკიდებლად მუშაობა, ეპიონ მიზნის მისაღწევი გზები; ჩამოყალიბდნენ მომავალ პროფესიონალებად. დამოუკიდებელი კვლევა მათ დაეხმარება, განავითარონ პროფესიული ცოდნა მუდმივად.

ჩვენი კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი დისციპლინის საგანმანათლებლო პროცესში, როგორსაც „უცხოური (ინგლისური) ენა“ წარმოადგენს. ეს შედეგები ეფექტური იქნება შემდეგ პედაგოგიკურ პირობებში: სტუდენტთა

ავტონომიის მუდმივი ზრდა კომპლექსური სავარჯიშოებით დატვირთვასთან ერთად, მასწავლებლის მიერ სწავლების პროცესის კონტროლი და თვითკონტროლის საჭიროებებსა და უნარებში თანმიმდევრული მომზადება, მეთოდებისა და ფორმების მრავალფეროვნება.

აღსანიშნავია მულტილინგვალიზმის ღირებულება, როგორც სოციალური და კულტურული ფენომენისა თანამედროვე საზოგადოებაში. სწორედ ამიტომ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მულტიკულტურული კომპონენტის შემცველი დამოუკიდებელი კვლევის წარმოების იმპლემენტაციის შესახებ კვლევის გაგრძელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Апресян, Ю. Д. (1995). *Избранные труды. Том 2. Интегральное описание языка и системная лексикография*. М.: Школа «Языки русской культуры».
- Бабанский, Ю. К. (1987). *Интенсификация процесса обучения*. М.: Знание.
- Елагина, В. С. и др. (2010) Самостоятельная работа студентов в педагогическом вузе / *Современные наукоемкие технологии*. № 10.
- Калмикова, Л. О. та ін. (2008). *Психологія мовлення і психолінгвістика*. К.: Переяслав-Хмельницький педагогічний інститут, в-во «Фенікс».
- Козаков, В. А. (1990). *Самостоятельная работа студентов и ее информационно-методическое обеспечение*. – К.: Выща школа.
- Леонтьев, А. Н. (1975). *Деятельность, сознание, личность*. М.: Политиздат.
- Лернер, І. Я. (1981). *Дидактичні основи навчання*. М.: Педагогіка.
- Орап, М. О. (2009). Мовленнєва компетентність як структурний елемент мовленнєвої організації суб'єкта: теоретичний аналіз / *Психолінгвістика*: [зб. наук. праць ДВНЗ «Переяслав-Хмельницький державний педагогічний університет імені Григорія Сковороди». Переяслав-Хмельницький: ПП «СКД», 2009. Вип. 4..
- Підкасистий, І. Ф. та ін. (2006). *Педагогічні технології*. Харків: Колегіум.
- Талызина, Н. Ф. (1998). *Педагогическая психология*. М.: Издательский центр «Академия».
- Чорненький Я. Я. та ін. (2006). *Основи наукових досліджень. Організація самостійної та наукової роботи студента*. К., ВД «Професіонал».
- Habermas, J. (1995). *Theory of Communicative Action*. Cambridge: Polity Press, vol. 1.
- Tokuhamas-Espinosa, T. (2008). *Living languages: multilingualism across the lifespan*. Westport, Conn.: Praeger Publishers.
- Tucker, G. R. (1999). A global perspective on bilingualism and bilingual education / *ERIC Digest (August)*. EDO-FL-99-04. Washington, DC: ERIC Clearinghouse .
- Wei, L. And Moyer, G. (2008). Research Perspectives on bilingualism and multilingualism / *The Blackwell Guide to Research Methods in Bilingualism and Multilingualism*. – Malden. Oxford : Victoria, pp. 3–17.